საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/09

ქ. ბათუმი **28 თებერვალი, 2023 წელი**

,,ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოში (AUF) ყოველწლიური საწევრო შენატანის განხორციელების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის №07-01/46 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 02 თებერვლის MES 8 23 0000116262 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 13 თებერვლის MES 7 23 0000165221 სამსახურებრივი ბარათის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 27 თებერვლის MES 9 23 0000227224 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 22 თებერვლის MES 9 23 0000208856 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 თებერვლის სხდომის №07-02/02 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება ,,ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოში (AUF) ყოველწლიური საწევრო შენატანის განხორციელების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 17 სექტემბრის №07-01/46 გადაწყვეტილების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,1. ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოში (AUF) ბსუ-ს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ამავე

სააგენტოში ყოველწლიური საწევრო გადასახდელის გადარიცხვა, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) მიერ წარმოდგენილი ინვოისის (ფაქტურა) შესაბამისად“.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**